GÜRTİAD

*HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ*

*კვირის ეკონომიკური გამოცემა*

# *27 Kasım / ნოემბერი 2023*

| Nüfus / მოსახლეობა | GSYİH ($) / მშპ ($) | GSYH (büyüme) /მშპ | İşsizlik / უმუშევრობა | Enflasyon /ინფლაცია |
|---|---|---|---|---|
| 3 736.4 | 6 676.3 | 10.4% | 17.3 % | 0.8% |

## Tiflis'te Luxury Collection Markalı Otel, Paragraph Tbilisi Açıldı

## თბილისში Luxury Collection-ის ბრენდის სასტუმრო „პარაგრაფ თბილისი“ გაიხსნა

21 Kasım'da Tiflis'in merkezinde, Marriott'un en üst düzey- Luxury Collection markalı oteli, Paragraph Tbilisi açıldı.

Paragraph Tbilisi'nin toplam yatırım değeri 150 milyon dolardır.

220 odalı otelde 5 restoran, 3 katli birinci sınıf kaplıca, yüksek teknolojili toplantı ve konferans alanları bulunmakta.

Paragraph Tbilisi ve Paragraph Shekvetili'de 900'ü aşkın kişi istihdam edilmektedir.

Paragraph Tbilisi en yüksek düzeydeki uluslararası etkinliklere ev sahipliği yapabilir ve Gürcistan'a yeni kategori ticari amaçlı gelen ziyaretçileri ve tatilcileri çekebilecektir.

Söz konusu proje, Sololaki sırtında bulunan büyük projeye, Tabori dağındaki Paragraph oteline ve golf kulübüne çevre dostu teleferikle bağlanır.

21 ნოემბერს თბილისის ცენტრში, "მარიოტის" უმაღლესი კლასის Luxury Collection-ის ბრენდის სასტუმრო „პარაგრაფ თბილისი“ გაიხსნა.

„პარაგრაფ თბილისის“ ჯამური საინვესტიციო მოცულობა 150 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. სასტუმრო მოიცავს 220 ნომერს, 5 რესტორანს, სამ სართულზე განთავსებულია უმაღლესი კატეგორიის სპა, მაღალტექნოლოგიური შეხვედრებისა და საკონფერენციო სივრცეები.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იმბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

„პარაგრაფ თბილისში“ და „პარაგრაფ შეკვეთილში“ ჯამურად დასაქმებულთა რაოდენობა 900 ადამიანს აჭარბებს.

„პარაგრაფ თბილისი“ შეძლებს, უმასპინძლოს უმაღლესი კატეგორიის საერთაშორისო ღონისძიებებს და საქართველოში მოიზიდოს ახალი კატეგორიის ბიზნეს ვიზიტორები თუ დამსვენებლები.

აღნიშნული პროექტი, ეკოლოგიურად სუფთა საბაგირო საშუალებით დაუკავშირდება სოლოლაკის ქედზე მდებარე მასშტაბურ პროექტს და თაბორის მთაზე არსებულ სასტუმრო „პარაგრაფს“ და გოლფ კლუბს.

**Başbakan'ın Bakü Ziyareti**

**პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ბაქოში**



Gürcistan Başbakanı Irakli Garibashvili Azerbaycan Cumhurbaşkanı İlham Aliyev'in daveti üzerine Bakü'ye gitti.
Hükümet Başkanı Bakü'de SPECA Ekonomik Forumuna şeref misafiri olarak katıldı.
Toplantıda iki ülkenin yüzlerce yıllık, iyi komşuluk ve dostça ilişkileri vurgulandı, Azerbaycan'ın Gürcistan'ın lider ticari ortaklarından biri olduğunu belirtildi.
Gelecekte Bakü-Tiflis-Kars demiryolunun Avrupa-Kafkasya-Asya demiryolu koridorun bir parçası olacağını kaydedildi.
Taraflar küresel ve bölgesel güvenlik konularını değerlendirdiler.
Irakli Garibashvili Azerbaycan'ın kısa bir süre içinde Ermenistan'la barış antlaşması imzalayacağına dair umutlarını dile getirdi.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პრეზიდენტ ილჰამ ალიევის მოწვევით ბაქოში გაემგზავრა.
მთავრობის მეთაური ბაქოში აზერბაიჯანის პრეზიდენტის პირადი მიწვევით SPECA-ს ეკონომიკურ ფორუმს, საპატიო სტუმრის სტატუსით დაესწრო.
შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ორი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან, კეთილმეზობლურ, მეგობრულ ურთიერთობებზე და აღინიშნა, რომ აზერბაიჯანი საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი სავაჭრო პარტნიორია.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

აღინიშნა, რომ სამომავლოდ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი გახდება ევროპა-კავკასია-აზიის სარკინიგზო დერეფნის ნაწილი.
მხარეებმა მიმოიხილეს მსოფლიოში და რეგიონში არსებული უსაფრთხოების საკითხები.
მთავრობის მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ აზერბაიჯანი სომხეთთან ძალიან მალე გააფორმებს სამშვიდობო შეთანხმებას.

**Ticari Bankaların Karı**

**კომერციული ბანკების მოგება**

Gürcistan Milli Bankası 2023'ün 3. çeyreğinin mali verileri açıkladı.
İstatistiğe göre, raporlama döneminde 15 ticari bankadan 3 banka zarar görürken, geri kalan bankalar kar etmişlerdir. Ancak, önceki yıllarda olduğu gibi, bankacılık sektörünün karının büyük kısmı 2 büyük bankaya aittir.
Resmi verilere göre, Eylül 2023 itibarıyla ticari bankalar 2,046 milyar Larilik net kar elde ettiler.
Bankaların mali tablolarına dayanarak, 2023'ün 3. çeyreği itibarıyla, iki büyük bankanın toplam karı 1 785 713 936 Lari olarak belirlendi. TBC Bank'in karı 803 752 408 Lari, Bank of Georgia'nın karı ise 981 961 528 Lariyi buldu.
Dolaysıyla, 3. çeyrek itibarıyla bankacılık sektörünün %87.3'ü sadece iki- TBC ve Gürcistan bankalarına aittir.

**Diğer Bankaların 2023'ün 3. Çeyreği Kar İndeksi Aşağıdaki Gibidir:**

- BasisBank– 46 796 832 Lari;
- Silk Bank- -4 317 901 Lari (Zarar);
- Credo Bank– 26 541 316 Lari;
- Cartu Bank – 27 043 860 Lari;

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

- Halyk Bank – 17 165 202 Lari;
- Terabank – 25 823 575 Lari;
- Liberty Bank – 63 364 414 Lari;
- Paysera Bank - -955 410 Lari (Zarar);
- PASHA Bank Georgia- -1 092 876 Lari (Zarar);
- ProCredit Bank – 38 742 782 Lari;
- VTB Bank – 940 508 Lari;
- Ziraat Bank Georgia – 6 655 168 Lari;
- Is Bank Georgia – 13 619 463 Lari.

ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების 2023 წლის მე-3 კვარტალის ფინანსური მაჩვენებლები გამოაქვეყნა.

ამ სტატისტიკით, საანგარიშო პერიოდში 15 კომერციული ბანკიდან 3 ბანკი გავიდა ზარალზე, სხვა ყველა კი მომგებიანი იყო. თუმცა, გასული წლების მსგავსად საბანკო სექტორის მოგების დიდი წილი ორ მსხვილ ბანკზე მოდიოდა.

კერძოდ, ოფიციალური მონაცემებით, 2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით, კომერციულმა ბანკებმა 2,046 მლრდ ლარის წმინდა მოგება მიიღეს.

ბანკების ფინანსური ანგარიშგებების თანახმად, 2023 წლის მე-3 კვარტალის მდგომარეობით, ორი მსხვილი ბანკის საერთო მოგება 1 785 713 936 ლარი იყო. კერძოდ, „თიბისის“ მოგებამ 803 752 408 ლარი, ხოლო „საქართველოს ბანკის“ - 981 961 528 ლარი შეადგინა.

შესაბამისად, მესამე კვარტლის მდგომარეობით საბანკო სექტორის 87.3% მხოლოდ ორ ბანკზე - „თიბისისა“ და „საქართველოს“ ბანკზე მოდის.

**რაც შეეხება სხვა ბანკების 2023 წლის მე-3 კვარტალის მოგების მაჩვენებლებს, ასე გამოიყურება:**

- „ბაზისბანკი“ – 46 796 832 ლარი;
- „სილქ ბანკი“ - -4 317 901 ლარი (ზარალი);
- „კრედო ბანკი“ – 26 541 316 ლარი;
- „ქართუ ბანკი“ – 27 043 860 ლარი;
- „ხალიკ ბანკი“ – 17 165 202 ლარი;
- „ტერა ბანკი“ – 25 823 575 ლარი;
- „ლიბერთი ბანკი“ – 63 364 414 ლარი;
- „პეისერა ბანკი“ - -955 410 ლარი (ზარალი);

- „პაშა ბანკი საქართველო“ - -1 092 876 ლარი (ზარალი);
- „პროკრედიტ ბანკი“ – 38 742 782 ლარი;
- „ვითიბი ბანკი“ – 940 508 ლარი;
- „ზირაათ ბანკი საქართველო“ – 6 655 168 ლარი;
- „იშ ბანკი საქართველო“ – 13 619 463 ლარი.

## Yerel İhracat 9 Aydır Düşüş Göstermekte

## ადგილობრივი ექსპორტი 9 თვეა მცირდება

- Gürcistan'da üretilmiş emtia ihracatı 9 aydır düşüş göstermektedir. 10 ayda yerel ihracatın toplam düşüşü %23.3'ü oluşturmuştur. 10 ayda ülkeden toplam ihracatın %46.5'i olan 2.37 milyar dolar değerindeki yerel ihracat (Yeniden ihracat hariç) gerçekleştirilmiştir.
- Gürcistan'da üretilmiş malların en büyük kısmı %19 payı olan, dolaysıyla birinci sırada yer alan Rusya'ya satılıyor. Bu ülkeye 455 milyon dolar değerindeki Gürcistan'da üretilmiş mallar ihraç edilmiştir. İkinci sırada Türkiye ($307,2 milyon), üçüncü sırada ise Çin ($239 milyon) yer alıyor.
- Ocak-Ekim döneminde yerel ihracatın ilk 10 listesinde 445.8 milyon dolarla bakır cevherleri ve konsantreleri birinci sıradaydı, bu emtia grubunun toplam yerel ihracatındaki payı %18.8 oldu. İlk üçe şarap ve demir alaşımları da giriyor.

- **Yerel İhracatta En Büyük İhraç Ürünler:**
- Bakır cevherleri - 445.8 milyon dolar (-%47)
- Şarap - 216.4 milyon dolar (+%8.1)
- Demir alaşımları - 124.2 milyon dolar (%-67.5)
- Azotlu gübreler - 136.5 milyon dolar (-%38.4)
- Maden suları - 114.6 milyon dolar (+%25.8)
- Elektrik enerjisi - 103.2 milyon dolar (+%22.5)
- Şekerli sular - 93.4 milyon dolar (+%40.4)

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

- Alkollü içecekler - 82.5 milyon dolar (+%10.4)
- Altın - 70.4 milyon dolar (+%1.8)
- Canlı sığır - 66.2 milyon dolar (+%44.2)

- Buna rağmen toplam ihracatın (Yerel ihracat + Yeniden ihracat) artış gösterdiğini de belirtilmeli. 10 ayda ihraç pazarlarına 5.1 milyar dolar değerindeki mallar ihraç edilerek büyüme %12.5 oldu.

- საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტი 9 თვეა კლებას აჩვენებს. 10 თვეში ადგილობრივი ექსპორტის ჯამური კლება კი, 23.3%-ია. სულ 10 თვეში ქვეყნიდან 2.37 მლრდ დოლარის ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე) განხორციელდა, რაც მთლიანი ექსპორტის 46.5%-ია.
- საქართველოში წარმოებული პროდუქციის ყველაზე დიდი წილი რუსეთში იყიდება, რომელიც 19%-იანი წილით პირველ ადგილზეა. ამ ქვეყანაში 455 მლნ დოლარის საქართველოში წარმოებული პროდუქციაა გატანილი. მეორე ადგილზეა თურქეთი ($307,2 მლნ), ხოლო მესამეზე ჩინეთი ($239 მლნ).
- იანვარ-ოქტომბერში ადგილობრივი ექსპორტის ათეულში პირველ ადგილზე სპილენძის მადნები და კონცენტრატები არის წარმოდგენილი 445.8 მლნ. აშშ დოლარით, აღნიშნული სასაქონლო ჯგუფის წილი მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 18.8 პროცენტს შეადგენს. სამეულში შედის ღვინო და ფეროშენადნობები.

- **უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები ადგილობრივ ექსპორტში:**
- სპილენძის მადნები - 445.8 მლნ დოლარი (-47%)
- ღვინო - 216.4 მლნ დოლარი (+8.1%)
- ფეროშენადნობები - 124.2 მლნ დოლარი (-67.5%)
- აზოტოვანი სასუქები - 136.5 მლნ დოლარი (-38.4%)
- მინერალური წყლები - 114.6 მლნ დოლარი (+25.8%)
- ელექტროენერგია - 103.2 მლნ დოლარი (+22.5%)
- წყლები შაქრის შემცველობით - 93.4 მლნ დოლარი (+40.4%)
- სპირტიანი სასმელები - 82.5 მლნ დოლარი (+10.4%)
- ოქრო - 70.4 მლნ დოლარი (+1.8%)
- ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - 66.2 მლნ დოლარი (+44.2%)
-
- აღსანიშნავია, რომ ზრდას აჩვენებს ჯამური ექსპორტი (ადგილობრივი ექსპორტი + რეექსპორტი). 10 თვეში საექსპორტო ბაზრებზე 5.1 მლრდ დოლარის პროდუქციაა გატანილი, ზრდა 12.5%-ია.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

## Çiçek İthalatı

## ყვავილების იმპორტი

Bu sene, geçen senenin aynı dönemine göre çiçek ithalatı 1,4 milyon dolar arttı.

Milli İstatistik Kurumu'na göre, 2023'ün Ocak-Eylül döneminde Gürcistan'a 3,661 milyon dolar değerinde, geçen senenin 9 ayda ise 2,178 milyon dolar değerindeki çiçekler ithal edildi.

Bununla birlikte, bu sene çiçeklerin %29'u Ermenistan'dan, %26,4'ü Ekvador, %26,3'ü ise Hollanda'dan ithal edildi.

**2023'ün 9 Ayında Çiçek İhraç Eden Ülkeler Sıralaması:**

- Ermenistan - 1,053 milyon dolar
- Ekvador - 969.7 bin dolar
- Hollanda - 965.7 bin dolar
- Türkiye - 310 bin dolar
- Kenya - 242.4 bin dolar
- Azerbaycan - 40.7 bin dolar
- Etiyopya - 39.3 bin dolar
- İran - 21.6 bin dolar
- Hindistan - 7.7 bin dolar
- Birleşik Krallık - 5.3 bin dolar

Bunun haricinde bu sene Fransa, İtalya, Almanya, İspanya ve Rusya'dan da küçük miktarda çiçek ithalatı gerçekleştirildi.

2023'te, aynı raporlama dönem içerisinde Gürcistan'dan çiçek ihracatının 24.5 bin doları bulduğunu belirtilmelidir. Bundan 23.1 bin dolar değerindeki çiçekler Ukrayna'ya, 1.3 bin dolar değerindekiler ise Ermenistan'a ihraç edilmiştir.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

მიმდინარე წელს, გასულ წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ცოცხალი ყვავილების იმპორტი 1,4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში 3,661 მლნ აშშ დოლარის ყვავილები შემოვიდა, წინა წლის 9 თვეში - 2,178 მლნ აშშ დოლარის.

ამასთან, წელს იმპორტირებული ყვავილების თითქმის 29% სომხეთზე მოდის, შემდეგია ეკვადორი 26,4%-ით და ნიდერლანდები 26,3%-ით.

**უფრო კონკრეტულად, იმ ქვეყნების ჩამონათვალი, საიდანაც 2023 წლის 9 თვეში ყვავილები შემოვიდა, ასე გამოიყურება:**

- სომხეთი - 1,053 მლნ აშშ დოლარი
- ეკვადორი - 969.7 ათასი აშშ დოლარი
- ნიდერლანდები - 965.7 ათასი აშშ დოლარი
- თურქეთი - 310 ათასი აშშ დოლარი
- კენია - 242.4 ათასი აშშ დოლარი
- აზერბაიჯანი - 40.7 ათასი აშშ დოლარი
- ეთიოპია - 39.3 ათასი აშშ დოლარი
- ირანი - 21.6 ათასი აშშ დოლარი
- ინდოეთი - 7.7 ათასი აშშ დოლარი
- გაერთიანებული სამეფო - 5.3 ათასი აშშ დოლარი

გარდა ამისა, წელს ყვავილები მცირე რაოდენობით შემოვიდა საფრანგეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან და რუსეთიდან.

აქვე, აღსანიშნავია, რომ წელს, იგივე საანგარიშო პერიოდში, საქართველოდან ყვავილების ექსპორტმა 24.5 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც 23.1 ათასი აშშ დოლარის უკრაინაში, ხოლო 1.3 ათასი აშშ დოლარის სომხეთში გავიდა.

**Gürcistan'da At İthalatı Azaldı**

**საქართველოში ცხენების იმპორტი შემცირდა**

Gürcistan'da at ithalatı azalıyor. Geostat'in verilerine göre, geçen senenin Ocak-Ekim döneminde ithalat oranı 243.7 bin dolarıyken, 2023'ün aynı döneminde ülke sadece 41 000 dolar değerindeki at alımı gerçekleştirdi.

İthalatın en yüksek oranı 2010 yılında tespit edilmiştir- 331 000 dolar. Dış ticaret portalında at ithalat oranlarının 2009 yılından itibaren mevcut olduğunu vurgulanmalı.

**İhracatçı ülkeler aşağıdaki gibidir:**

- Rusya- 28.58 bin dolar
- Bulgaristan- 7.83 bin dolar
- Azerbaycan- 4.6 bin dolar

საქართველოში ცხენების იმპორტი მცირდება. საქსტატის მონაცემებით, 2023 წლის იანვარ-ოქტომბერში ქვეყანამ სულ რაღაც 41 ათასი დოლარის ღირებულების ცხენები შეიძინა, მაშინ, როდესაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტის მაჩვენებელმა 243.7 ათასი დოლარი შეადგინა.

იმპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2010 წელს დაფიქსირდა - 331 ათასი დოლარის.

აღსანიშნავია, რომ საგარეო ვაჭრობის პორტალზე ცხენების იმპორტის მაჩვენებელი ხელმისაწვდომი 2009 წლიდან არის.

**რაც შეეხება იმპორტიორ ქვეყნებს, ასე გამოიყურება:**

- რუსეთი - 28.58 ათასი დოლარი
- ბულგარეთი - 7.83 ათასი დოლარი
- აზერბაიჯანი - 4.6 ათასი დოლარი

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

## Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6985 TRY/GEL – 0.0940 EUR/GEL – 2.9327 GBP/GEL – 3.3545

USD/GEL

20 – 27 Kasım 2023

USD/TR

20 – 27 Kasım 2023

TRY/GEL

20 – 27 Kasım 2023




BTC – 35, 091,26

20 – 27 Kasım 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING